ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 61

11 ივლისი 2019 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ზარქუა

კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, რამინა ბერაძე, ალექსანდრე ხუჯაძე, დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე, ირაკლი ნადირაძე.

სხდომას ესწრებოდა:
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი - გაიოზ თალაკვაძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმდჯომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, გააცნო და კენჭი უყარა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი: ქ"თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების, ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ.(#11-01191862929, 5.507.219წ; #11-01191901460, 9.07.2019წ; # 11-0119192776 11.07.2019წ)

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა გაიოზ თალაკვაძემ.

გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ ისნის რაიონის გამგეობა, 2019 წლის 24 ივნისს მოსული ძლიერი წვიმისა და სეტყვის შედეგად რაიონის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების აღდგენა-შეკეთებისათვის, ითხოვს ქვეპროგრამის: „კეთილმოწყობის ღონისძიებები" (კოდი 02 090 16) ასიგნებების მესამე კვარტლის გეგმის გაზრდას 275 000 ლარით, შესაბამისად მეოთხე კვარტლის შემცირებით, დაბალანსება შესაძლებელია „საინჟინრო ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია" (კოდი 02 01) პროგრამაში არსებული რესურსით.

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მოთხოვნით იზრდება „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობის" პროგრამის მესამე კვარტლის გეგმა 60 000 ლარით, მეოთხე კვარტლის შესაბამისად შემცირების ხარჯზე.

გარდა ამისა მან აღნიშნა, რომ არასაკმარისია „სარეზერვო ფონდის" რესურსი ამ ეტაპზე, რისთვისაც ვითხოვთ მეოთხე კვარტლიდან 250 000 ლარის გადმოტანას. აღნიშნულის დაბალანსება ხდება ნაშთის ცვლილებით.

მომხრე- 8

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების, ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ", სადაც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური ითხოვს მესამე კვარტალში ქვეპროგრამის, „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობის" (კოდი 07 05 03) „სოციალური უზრუნველყოფის" მუხლის გაზრდას 60000 ლარით, საფინანსო საქალაქო სამსახური ითხოვს სარეზერვო ფონდის მესამე კვარტლის გაზრდას 250 000 ლარით და ისნის რაიონის გამგეობა ითხოვს პროგრამის „კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში" (კოდი 02 09 16) ასიგნების გაზრდას 275 000 ლარით, ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3 და მე-7 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას დანართების შესაბამისად.**

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა